

მოეწყო საკავშირო მото-ველო გადარბენა, რომლის მონაწილეც ვაჭარბენა და მოსკოვში მე-16 პარტყოლობას პატაკმოახსენებენ ადვილობრივ მდგომარეობის შესახებ.



„დაუფასებელი“

— დიდი საქმეა ამის მიტანა! მე ერთი გარბენით სოფლად კოლექტივები მოვაწვეე, მაგრამ ვინ დამიფასა? მალე ლობის მაგიერ, — მომხსნეს!

„ახალი ოჯახი“



სპირიდონ ზიზლადეს განათლებულ კაცთ მოაქვთ თავი. ხუმრობა ზომ არ არის—უმალღესი ცოდნით აღჭურვილი პიროვნებაა, პროფესიით ეკონომისტი. სპირიდონი ჩვენი პარტიის წევრიც იყო და გამოწმენდილ იქნა უკანასკნელ წაენდის დროს.

— ამხანაგებო, თქვენ მოისმინეთ სპირიდონ ზიზლადის თავდადასავალი, მისი ავტობიოგრაფია, ვის უნდა სიტყვა?—შეეკითხა გამწმენდ კომისიის თავმჯდომარე მუშა-მოსამსახურეთა კრებას.

— მე მსურს!—გაისმა ხმა და ტრიბუნაზე ავიდა ახალგაზრდა მუშა ვანო ტყვიაძე.

— სპირიდონ ზიზლადეს ყველა ვიცნობთ,—დაიწყო მან,—ის ჩვენი დაწესებულების უფროსია, რომლისთვისაც საბჭოთა ხელისუფლებას საპასუხისმგებლო საქმე მიუზღვია; სპირიდონ კომუნისტური პარტიის წევრია. ასრულებს თუ არა ის პარტიის დავალებას? მიყავს თუ არა წალმა ჩვენი დაწესებულების საქმე?

ამ კითხვებს სხვები შეეხონ, თუმცა მე ვფიქრობ, რომ ჩვენი დაწესებულების საქმე ზიზლადის მეოხებით უკან მიდის და არა წინ. მე მინდა გაგაცნოთ თქვენ ზიზლადის პირადი ცხოვრება. მე მის ცხოვრებას კარგად ვიცნობ. ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობთ...

— ასე მემართლები ვანა? არ გახსოვს, რომ ქუჩაში იყავი და ბინა მოგეცი!—წამოიძახა ადგილიდან ზიზლადემ.

— როგორ არ მახსოვს! ვანა ვუარყოფ, რომ შენ ექვს ოთახში ერთი ოთახი მომეცი? მე მაშინ უჯრედის მდივანი ვიყავი, შენ კი დაწესებულების გამგე. ალბათ სამაგიეროს მოელოდი ჩემგან...

— ცილისწამებაა, შეურაცყოფა!—აღშფოთებით წამოიძახა ზიზლადემ.

— ამხანაგო ვანო, გთხოვთ წვრილმანებს ნაკლებათ შეეხოთ! შენიშნა თავმჯდომარემ ტყვიაძეს.

— ამხანაგებო, ვანა ეს წვრილმანია?—მაგრამ ამას თავი დაეწებოთ,—სპირიდონ ზიზლადეს რომ შეეკითხოთ, ის კულტურული რევოლუციის მომხრეა, ახალ ყოფაცხოვრებას არ უარყოფს, ცხადია კომუნისტურ ოჯახსაც შესტრფის, ალბათ თქვენც გახსოვთ ზიზლადის საჯარო

ლექცია ყოფაცხოვრების შესახებ. ბევრი თქვენგანი დაესწრო იმ ლექციას და დამიმოწმებთ, რასაც ვამბობ. მაგრამ როგორია ის პირადი ცხოვრებაში? ნამდვილი, ტიპური მემჩანია, გახრწნილი და გადაგვარებული ადამიანი. რას წარმოადგენს მისი ოჯახი? მემჩანობის და გახრწნილობის წუმბეს.

— ამხანაგო თავმჯდომარე, გთხოვთ დამიცვათ ცილისწამება და შეურაცყოფისაგან, ჩემი ოჯახი, კომუნისტური, ახალი ოჯახია!—აღშფოთებით მიმართა ზიზლადემ თავმჯდომარეს.

— ახალი ოჯახიო, ნუ თუ არ გრცხვენია!—ხმამალა გადასძახა ტრიბუნიდან ტყვიაძემ სპირიდონს. ერთი გვიპასუხეთ,—რამდენჯერ გიცემიათ თქვენ ცოლისათვის? მერამდენე ცოლი გყავთ და რა ბედი ეწვია შენს ყოფილ ცოლებს? მოიკლა თუ არა ორმა მათგანმა თავი?


ახალი ოჯახიო: როგორ ზრდით თქვენს შვილებს? ვანა შენი ქალი არ არის, რომ დილიდან საღამომდე ცეკვის და არშეყოფის მეტს არაფერს აკეთებს?

ვანა შენი ვაჟი არ არის, რომ ფულების გაფლანგვისათვის გამსახლში ზის? ვინ იცის, იქნებ შენც იღებდი მონაწილეობას მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში! ახალი ოჯახიო! ჰმ! ვანა ეს არის ახალი ოჯახი? ჩვენ არ გვინდა ასეთი ოჯახი! ჩვენ არ გვინდა პარტიის არც ისეთი წევრი, რომელიც ასეთ ოჯახს კომუნისტურ ოჯახათ სთვლის!—დაათვა თავის სიტყვა ვანომ და ტრიბუნიდან აქოვიდა...

ვანოს შემდეგ სხვებმაც ილაპარაკეს. ისინი ვანოს ნარქვამს საესებით ადასტურებდნენ.

ილაპარაკა თვით ზიზლადემაც, რომელიც შეეცადა გამწმენდ კომისიისათვის დამტკიცებია, რომ მისი ოჯახი ნამდვილი კომუნისტური ოჯახია, მაგრამ ცდამ ონაყოფოთ ჩაუარა.

წმენდის შედეგს თქვენ იცნობთ. როგორც გავიგეთ, ზიზლადეს უკანასკნელი ცოლი გაქცევია, მის ასულს რომანიულ ნიადაგზე თავი მოუკლავს, ვაჟი გაფლანგვისათვის ეხლაც გამსახლში ზის. საბინაო ამხანაგობას შეუვიწროებია ზიზლადე და ხუთი ოთახიდან მისთვის ერთი დაუტოვებია...
აი, რა ბედი ეწვია ზიზლადის „ახალი ოჯახს“. კუმშარა.



მოხსენებაში:—ამხანაგებო, ხაჭირთა ახალი ოჯახი, ერთი მეორეს სიყვარულზე და პატივისცემაზე აგებული...

ოჯახში—უუუ შე!..



პარკუნა: (თავისთვის) ქალაქში მივყვები ძია დავითს, იქნება იქ მაინც ვნახო ჩემი ბედი და ილბალი.

დავით კლდიაშვილის გმირები გასაბჭოების შემდეგ

პატივცემული დავითი აღარ კითხულობს თავის გმირების ამბავს, მის შემდეგ რაც მასზე დასწერეს.

ტარტაროზმა სპეციალურად გაგზავნა მისი ჯოჯოხეთ უხუცესი ნიანგი, რომ გამოეკვლია მათი მდგომარეობა და ყოფაცხოვრება.

ნიანგმა დავალება შეასრულა და ასე მოახსენა ტარტაროზს იმერულაო; (მიუხედავად იმისა, რომ ნიანგი ტომით გურულია);

— მოვიარე, შენ ხარ ჩემი ბატონი, იმერეთი; ვნახე პირველად დარისპანი, მოხუცებულია ძალიან კაროქნა, მისი ქალიშვილი, ჯერეც გოუთხოვარია და კიდევ იმ ხნისაა მისი ფიქრიო; რაც ამ ოცი თუ ოცდა ხუთი წლის წინათ იყო.

— მე შენი ჭირი მე „ზაქციო“ არ მინდა ქმარი და არც უბრალო ვინმე, იმის მერე რაც ოსიკო ხარებაძემ მილალატა და დამიწუნა, მერე იმის მეტს კაის მე ვერავის შევხვდები!—ასე განაცხადა კაროქნამ.

დარისპანისას ჩაიხე მიმიწვიეს, ჭიჭების გამოტანისას, კაროქნა შეიღჯერე წაფორხილდა მაგიდასთან და ბარე ხუთი საინი და ჭიჭა ქე გადამამტვრია თავზე. საწყალმა დარისპანმა მეც ქე შემომამძლია მისი კაროქნა:—წიყვანე, გენაცვალე, ძან მოვიარს, საინები თუ დაგიმტვრია, რა უჭირს, მაგის მეტი მუშკოპში რა აწყვიაო, შენც იყიდე ახალიო,— მითხრა.

ასე თუ ისე ბოლოს უსურვე კარგათ ყოფნა დარისპანს, კაროქნას მალე გათხოვება და გადავედი მეორე სოფელში ბეკინა სამანიშვილთან.

ბეკინა კაი გუნებაზე დამხვდა ახლა. კოლექტივის წევრი გამხდარა. მისი შვილი პლატონა აღარ დარდობს უკვე ბეკინას შვილის ყოლას, ვინიდან მიწა კოლექტივაშია შეტანილი და გასაყოფიც აღარაფერი აქვთ. ბეკინას შვილი კი უკვე დიდი გამხდარა და კომკაშირეულია, თითო ჭიჭა აქაც დავლიეთ და გამოუყვეი მესამე სოფლისაკენ აბესალომ სალამთაძის და მისი ცოლის ირინეს სანახავათ. შევედი აბესალომისას თუ არა, ჭიჭარში, სახლიდან საში ნელი ყვირილი მომესმა და რახარუხი. აბესალომი დამთვრალი ისევ თავის ცოლს ირინეს ეჩხუბებოდა, მარა სულ სხვა ნიადგზე ეხლა: ცოლი, ირინე შესულა „ვენატ-დელში“ და ჭინჭყლ აბესალომს „რავოლით“ ემუჭრება, მიმიღეს გვარიანათ, გამოვკითხე ამბები.

— აბესალომი მილიციონათ აპირებს, ბატონო, შესვლას, მარა ლივერს არავინ ენდო: გეისროლის მაგი და ვინმეს მოკლავსო.

ეს პატარა ინტერვიუ ნიანგისა დავითის შთაგარ გმირებთან ამით დასრულდა და ვისაც პირადად სურს იმათი ნახვა მოზრძანდეს 29 ივნისს სახ. ოპერის თეატრში და თავის თვალთ იხილავს: აბესალომს, ირინეს და სხვებს.

მიფისტოფელი.

ტელეფონში

— ალლიო? ა? სადგური ხარ? თუ ქალი ხარ ერთი გადამაფსკვენი ხაბურხანის კვარტირას? რაიო? ქმარი? ქმარი კი არა მისი ცოლი მინდა... ხო... ძაძუ ხარ, ძღაბო? დაი რუკუ!.. მუჭორე სკანი საქმე? მასთე რაეა მოქნა ქალო? გუშინ მე დამპირდი, იქინე გელოდე ქე რომ იცი, სალამოს და შენ კი აღმასკომის მდივან პლატონს უყურუტებდი კლუბში? არაა მაი კაი... ა? ვინაა, რომ გვიშლის? ვინცხა ხარ ნუ ჭუჭყუნებ მა ტელეფონში!.. მაცა... ზო... ძაძუ... მართლა აღმოუჩინა რევიზიამ შენს დოკლაბია ქმარს კოოპერატივში ფულის გაფლანგვა და პროკურორმა გამსახლისკენ აცოცხა? ა? მე? ჰმ!.. აგრე აღვილად ვერ... ისთე მაქვს არეული ანგარიშის დავდრები, რომ ჩგნი სამაზრო კოლხოზის თავმჯდომარის თავშიც

არ იქნება ისთე არეული საქმეები... ა? აფერი მაინც და მაინც... რაცხა ორი ათას მანეთამდე მაკლია... ვიღრე კორილე ცენტრშია, ბუზსაც ვერ ამიფრენენ... მერე ან მოვი გონებ რაცხას, დევკარე-თქვა, ან... ა? ძაძუ! ძაძუ არა ხარ?! მა ვინ ეშმაკია?! რაიო?! გამსახლი?! ჰმ!..

ფერი წაუვიდა არტელის თავმჯდომარეს, ტელეფონს. ცივათ უშვა ხელი და მოწყვეტილი დაეშვა სკამზე.

— ეს კაი ნიშანი არაა...—არ დაეთავებინა ჯერ ეს სიტყვა, რომ შემოვიდა გამგეობის წევრი და შეატყობინა:

— ამხანაგო ძუკუ, ერკაის კომისია ცენტრიდან და მილიციის უფროსიც თან ახლავს!

— ა? ასე მალე?! რა ვქნა აწი?

— რაი ვიცი... რატო მაშინ არ მეკითხებოდი, როცა ჩვენ ფულებს ანიავებდი? გიშველოს აწიც იმ შენმა კორილემს.

საბჭოთავრობის კარგადობის მიტოვების შემთხვევაში



გვაროსნული ომების პერიოდში მტრების წმირი თავდასხმებით შეწყობებული ებრაე-ლთა ერთი დიდი სოფელი აიყარა და მცირე აზისიკენ დაიძრა.

ქ. სირიანაში მათ დასცეს ბანაკი და იქ თან-დათან მოეწყო მათი პატარა კოლონია.

მათი ცხოვრების უმთავრეს პირობას შე-ადგენდა ის, რომ, გარეშე ადგილობრივი ხე-ლისუფლებისა, შინაურულად, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრების საკითხებში ისინი რჩევა-დარიგებისათვის მიმართავდნენ და კიდევ ემორჩილებოდნენ თავიანთ რაბინს.

და რაბინიც ფართოდ სარგებობდა ამ თავისი უფლებებითა და უპირატესობით.

კოლონისტებს პირველ ხანებში ძალიან უწინებდა ცხოვრებას ბინის სიფიწროვე-რის ბატარა და ვიწრო ქოხის ბინადარი, და შესერილეს მას: ბინა ჩვენი მეტად ვიწროა, დასაწოლი ადგილი რომ ვერ ვიყოფინეთ ქოხში, სოლოების ვასწვივრივ თარიღები მოვა-წყვეთ, ქერში ჰამაკები გამოვკიდეთ და იქ ვიძინებთ, მაგრამ ჰაერი არა გვყოფნის, სიფიწროსგან ვინულებთ.

ქოხის გვერდით ცხენი, ძროხა და ხბო გვიბია. იმათი ნალექის შმორიც ქოხში ბანს და ჩვენს ყოფას კიდევ უფრო ამძი-მებს...

გვიჩივს რამე.

— დიდი მასწავლებელი, — ეახლენ რა-ბინს ერთ მშვენიერ დღეს ცხრაში ძმანი, ერთი პატარა და ვიწრო ქოხის ბინადარი, და შესერილეს მას: ბინა ჩვენი მეტად ვიწროა, დასაწოლი ადგილი რომ ვერ ვიყოფინეთ ქოხში, სოლოების ვასწვივრივ თარიღები მოვა-წყვეთ, ქერში ჰამაკები გამოვკიდეთ და იქ ვიძინებთ, მაგრამ ჰაერი არა გვყოფნის, სიფიწროსგან ვინულებთ.

ქოხის გვერდით ცხენი, ძროხა და ხბო გვიბია. იმათი ნალექის შმორიც ქოხში ბანს და ჩვენს ყოფას კიდევ უფრო ამძი-მებს...

გვიჩივს რამე.

რაბინმა დინჯატი მოსმინა. კიდევ უფრო მეტმა სიბინჯემ დაამძიმა და დაღარა მისი შუბლი, გაცილებით კიდევ უფრო მეტი სინ-დინჯატი წამოვდა, აიღო მავიდიდან ებრაელ-თა უბრძნელა წიგნი: „მიდრაში“, გადაწალა ის და თვალები დაასო იმ ადგილს, სადაც ებრაელი ხალხის თორმეტ შტოდ გაყოფაზე იყო რაღაც თიბმული.

რაცხვი თორმეტი აეკვიტა უცბათ რაბინის ალლოიანს გონებას.

— რამდენი ხართ სული?

— ცხრაში, — იყო პასუხი.

— ცხენი, ძროხა და ხბო — გაიმეორა უსი-ტყველო რაბინმა და ცხენი რიმილი გველის შეუძრველ გაგლინებასავეთ დაიბრა მის წვერითა და ულვაშებით დაყატრულ სახე-ზე.

— შეიყვანეთ ქოხში თავისთან ხბოც — იყო რაბინის მკაცრი განაჩენი.

კიდევ უფრო შეასრულეს, მაგრამ შრომამ და ჰაერის სიმძიმემ მაინც თავისი გაიტანა. და ისევ წასრდვენ რაბინის წინაშე ცოტა დარცხენილნი.

— გვეჭირს ცხოვრება! — ძლივს ჰყადრეს რაბინს.

რაბინმა გაიმეორა სხეულის ყველა ის ცვლილებანი, რაიც ერთხელ უკვე მოვსენ-ნიეთ წევით და, რაიც ისე წინ უსწრებს ხო-ლმე სიბრძნის ამეტყველებას იმის ბავთა-ვან, ვისაც ამ სიბრძნეს სთხოვენ.

— შეიყვანეთ ქოხში ძროხაც! — ბრძანა ისევ რაბინმა ბრძნულად და ცივად.

გამობრუნდნენ ცხრაში, დასრულეს რაბი-ნის ეს მეორე სიტყვაც და მესამედ აღარ წაიდიოდნენ რაბინთან, რომ შმორსა და ჰაე-რის სიმძიმეს თავისი არ ექნა.

— კიდევ უფრო გვეჭირს! — შეჰყადრეს ძლივს.

— წადით და შეიყვანეთ ქოხში ცხენიც!

— კიდევ უფრო ცივად და სასტიკად მოუჭრა რაბინმა.

ლიზას მარცხი

ლიზა თავის მდგმურებთან კარგ განწყო-ბილებში იყო. ქირას მდგმურები თავის დროზე აძლევდნენ და ამ ნიადაგზე არავი-თარი უსამიზნებდა არ მოსდოდა იმათთან. გავიდა ხანი, იმ სახლის პატრონებს, რომელსაც ხელისუფლებამ სახლები არ ჩამო-ართვა, ან დაუბრუნა, მადა გაესხნათ.

ლიზა აბა მათ როგორ ჩამორჩებოდა! ისა-ზრებდა შეთხვევით და ერთი ოთახი გა-აჭირავა და კარგა ბლომად ფული აიღო.

ხელოვნურად შექმნილი მდგომარეობის გამო, მდგმური მოსტყუვდა, ოთახი ჰნელი და ნესტიანი აღმოჩნდა. რამდენიმე თვის შემდეგ მან მოინდომა გადასვლა.

— კი ბატონო, თანახმა ვარ, მაგრამ სამა-გიეროთ ისეთი მდგმური უნდა მიმოვნო, რომ არ ჰყავდეს ბავში, არც კატა და არც ძაღ-ლი, ცოლი კაპასი არ იყოს და ჯამაგირი თვეში ჰქონდეს არა ნაკლები ორმოცი თუ-მნისა; თვეში უნდა მაქოს 40 მანეთი! იყო ლიზას პასუხი.

— კი, შენ ნუ მომიკვდები, ეს ასე უნდა იყოს! — დაუტრა კვერი მამიდან.

— აბნ. ლიზა, იმ ისეთი მდგმური, რომ გორც თქვენ გინდათ, ყველაფერზე თანახ-მაა, არც შეილი ჰყავს, არც კატა და არც

ძაღლი, მარტო ცოლქმარი არიან. როგორც თქვენ სთქვით, თვეში 40 მან. გადაიხდიან.

ლიზამ ახედ-დახედა, მამიდანაც ჩათვალა ერა და იოსებს გარედ გამოუძახეს.

— ყველაფერი კარგია, მაგრამ მე მაგის ცხვირი არ მომწონს! — განაცხადა ლიზამ.

— კი, შენ ნუ მომიკვდები, მართლაც! — დაუდასტურა მამიდან.

ასე მიდიოდა დღეები, ბევრი მსურველი წაურდდა ლიზას, მაგრამ მისი მოსაწონარი არავინ აღმოჩნდა. ბოლოს წააწყდნენ ერთ ინჟინერს, რომელიც თითქმის მოეწონა ლი-ზას და ის იყო უნდა დათანხმებულყო, რომ საუბედროსო გამოიჩვენა: ინჟინერს ორი ბა-ვეში ჰყავდა, და ლიზამ ცივი უარი განაცხა-და.

ჩაიშალა ფრიად სარგებლიანი საქმე. ინ-ჟინერი წავიდა. არ გასულა დიდი ხანი, რომ ოთახში შემოიჭრა უცნობი ახალგაზრ-და და მიმართა იოსებს. გაიგო ყველაფერი ოთახის შესახებ, გავიდა გარეთ და ლიზა მოიწვია.

— თქვენ ოთახს აჭირავებთ?

— დიახ, — გოაცვებით და შიშით უპასუხა ლიზამ და უკან მოიხედა. ამ დროს მამიდან ფრთხილად შემოაღო კარები და გვერდზე მოუღვდა ლიზას.

— მე ყველა პირობებზე თანახმა ვარ.

— რამდენი სული ხართ?

— ორი.

— კომუნისტი უნდა იყოს; ისე გაბედუ-ლად ლაპარაკობს! — გადაუჩურჩულა მამი-დან.

— თქვენ კომუნისტი ბრძანდებით? — ში-შით შეეკითხა ლიზა.

გაბრუნდნენ და შეასრულეს. დიდხანს ით-მინეს, რადგან ეშინოდათ კვლავ რაბინთან მისვლა, მაგრამ ქირმა და გასაქირმა ბოლოს მაინც სძლია იმათ სიჯიუტეს.

— მეტი აღარ შეგვიძლია, ვიბრჩებებით, გვიშველეთ რამე — შეჰპბავლეს მათ ერთ-მად რაბინს.

— გამოიყვანეთ ახლა ხბო და დააბით თა-ვის ძველს ადგილას! — ისევ მოკლედ მოსჭრა რაბინმა.

რაბინის ეს რჩევაც ათი მცნების ერთ-ერთ მუხლსავით შეასრულეს, რამდენიმე ობი მა-რთლაც იკონეს და რაბინს ახარეს.

— ცოტა მოგვეშვა!

— მაშ, კარგი. გამოიყვანეთ ძროხაც და მოათავსეთ ხბოსთან — დაუმატა რაბინმა.

მოსულები სწრაფად გამოტრიალდნენ და რაბინის რჩევაც დაუყოვნებლივ შეასრუ-ლეს.

— მეონი, იელოვამ მოგვბნა, თავს უკეთ ვგრობობთ. ჰაერი თანდათან იწმინდება და მსუბუქდება — უთბრეს მათ, მათი რა-ბინის წინაშე გამოცხადებულბებმა.

რაბინის ცხვირმა ლიმილა გადაჰკრა და ბრძანა:

— აბა! მამ, გამოიყვანეთ ახლა ცხენიც! — და მეშვიდით რაბინის წინაშე გამოცხადე-ბულები, ისინი ლიმილითა და აღტაცებით მოუთხორობდნენ რაბინს, თუ ქოხში ჰაერი როგორ გასუფთავდა და მათი მდგომარეო-ბაც როგორ გაუჯობისდა. თანაც დაწოქი-ლები მაღლობას აღუფლენდნენ მაღლა, უჩი-ნარ მიუწევდომლობაში მყოფ იელოვას, რომ მელმაც მოჰპადალა მათ ასეთი გულკეთილი და ბრძენი რაბინი.

ეს ძველი ლიგენდა-იგავი რატომღაც მო-მავონდა ამ დღეებში, ვითომდა ცსადე მისი გადახალისება ამ ჩემი თავისუფალი თხრო-ბით. იქნება ზოგი „უკატის“ ხელმძღვანელს მაინც გამოადგეს რადმე.

ლიზა.

— დიახ, კომუნისტი გახლავართ. მამიდან შიშით პირი დაალო და ლიზას მუჯღლუგური წაჰკრა, ლიზა წელში გაიბარ-თა.

— ყველაფერზე თანახმა ვარ, სწორედ თქვენსთანა მდგმურს ვეძებდი, არც ბავშე-ბი გყავთ, არც ძაღლი და არც კატა?

— დიახ, არც ერთი!

დასწერეს პირობა და ლიზამ ერთი წლის ქირა ჩაიბარა.

— აი, ჩემო იოსებ, სწორედ ასეთი მდგმუ-რი მიწოდდა. ის ინჟინერიც კარგი იყო, მაგ-რამ ორი ბავში ჰყოლია და მე სწორედ ვერ ვიტან ბავშვების ცოლქობას. — მიმართა ლიზამ ძალდატანებული ლიმილით მდგმურს და შემდეგ ახალგაზრდას მიუბრუნდა — თქვენ ხომ ორი სული ბრძანდებით? — ხელმეორედ შეეკითხა ლიზა.

— დიახ, ორი სული მე და ჩემი ცოლი, მხოლოდ ორი ბავშიც გყავას.

— როგორ თუ ორი ბავში? — გულგახეთ-ქილი შეეკითხა ლიზა და უმიედლო თვალბები მაილას გადახედა.

— მესამე ბავშიც მალე იქნება! — ლიმი-ლით უპასუხა ახალგაზრდამ.

— არა უშვავს, მოეწყობით, ძალიან კა-რგი! — ათორთქლებული ხმით უპასუხა ლიზამ და მიდისთან ერთად გარეთ გაიძურწა.

ახალგაზრდამ და იოსებმა გულიანად გა-მდინარეს.

— აფსუს, ინჟინერი! — ეცნესით ჩილიაპა-რკა ლიზამ და მამილას შეხედა.

— არ დამიჯერებ და იბიტომ მოგივიდა ეს მარცხი, მაგრამ ჩუმად!

კიკოლა.



საპარიკმახეროში (კვლსი სოკრაბის ნაშთი)



მირბის მიფრინავს, უპატრონო ავტო-მანქანა
 დილომისაკენ „დამკვრელები“ მან გააქანა.
 95-ს წარწერილსა ვხედავთ მის წინა,
 მიჰქრის და მიჰქრის, მუშკორებმა ვერ შეამინა.
 გასცდა დილომსა, გაჰკვეთა ქარი...
 მოუსვა მცხეთის მოკირწყლულ გზაზე.
 შიგ მსხდომ გმირების მოღლილ ორგანიზმს
 სურს დასვენება ნაზ ბუნებაზე.
 არ იბრალებენ ბენზინს და შინებს,
 თავ განწირულნი მისი გმირები, —
 და სითავხელით აღტაცებულნი
 მიქრიან მსწრალოთ მონადირენი.
 აჰა! ხედავენ კავშირისათვის
 ბოძიდან ბოძზე გაკრულს მავთულებს,
 და ზედ შემომჯდარს პატარა ჩიტებს,
 ჭიკჭიკ — მღერაში, მყოფს და გართოლებს.
 ჩერდება ავტო. იწყება სროლა.
 ერთი მეორეს ჯიბრში არიან
 ჩიტებს ვერ ჰკლავენ, სამავიეროდ
 მავთულებს სწყვეტენ, მიწაზე ყრიან.
 ბრუნდება უკან დანჯღრეული ავტო-მანქანა
 ყოფა-ცხოვრებით გაჰხრწნილები მოჰყავს მას თანა.
 აღარ დასჭირდა გამორკვევას, დიდი დრო, ხანა
 და მუშგლენინმა აუტეხა მათ თავის ფხანა.
 ტოქსინი.

ს ბ ე ნ ა ა ი ვ ა ნ ზ ე მ

(ნაწყვეტი კომედიიდან)

პარმენ (აივანზე თავისი ოთახის კარების წინ ჩაის სევამს მონპასიეთი და თავისთვის ლაპარაკობს):—რად არ დაიქცა ის დღე, როცა მე აქ საცხოვრებლად ვადმოვედი! თუ მართალია, რომ ჩემს ცოლს აი ჩემი მეზობელი სპირდონი ეარშიყება, მაშინ ცოცხალი ვერ გადამიჩრებიან.

მაგდა (თავისი ოთახიდან გამოვა და პარმენს ჩუმიად ჭიქოლას მიაყრის):—უი, მეხი კი დაგაყარე მაგ მოტვლე-პილ თავზე. შენ აქ ჩაის იხვლიაპები, და შენი ცოლი კი სად და ვის ეარშიყება არაფერი იცი. (პარმენს). მაშო არ დაბრუნებულა სახლში?

პარმენ (ნერვიულად):—ჯერ არა... სპირდონ ხომ არ არის სახლში?

მაგდა:—ჯერ არ მოსულა!.. რატომ დაიგვიანა მაშომ თუ იცი? (ერთმანეთს გაბრაზებით უცქერენ).

პარმენ:—არ ვიცი... სპირდონ ეხლა დიდი ხნის მოსული უნდა იყოს!

მაგდა (უცხად, ისტერიულად): შენი ცოლი ნუ ეარშიყება ჩემს ქმარს, თორემ ორივეს გაგაქრობ ამ ქვეყნიდან საპნის ბუშტივით.

პარმენ:—„ჩემი შენ გითხარი, გული მოგეკალიო“, —სწორედ ასეა შენი საქმე. ჩემი ცოლი კი არა, შენი ქმარი ეარშიყება ჩემს ცოლს, და თავი გაანებოს, თორემ ცოცხალი ვერ გადამიჩრება. ჩემი ცოლი არც იკადრებს შენს ქმართან გაარშიყებას.

მაგდა:—ჰმ! შენ უბედურო, ასეთი უშნო და ჩათლახი რომ ხარ, სწორედ იმიტომ არის, რომ შენი ცოლი ჩემს მშვენიერს ქმარს ეარშიყება.

პარმენ:—გიცხონდა ბებეას სული ჯოჯოხეთში. ნაცლებად არის მასე. პირიქით! შენი ქმარი იმიტომ ეარშიყება ჩემს ცოლს, რომ სახლში ასეთი მაიმუნი ჰყავხარ. კაცს გულზე შემოეყრება და ჰკლავს დაჰკარგავს დილით გაღვიძებისას შენ რომ ლოგინში დაგინახავს... ჩემი ცოლი კი ანგელოზივით მშვენიერია.

მაგდა:—შე გაჭირვებულყო, ჩემზე რომ მაგას ამბობ, ერთი შენ ჩაიხედე სარკეში და დაინახე თავისი თავი; ადამიანის გარდა, ყველაფერს ჰგავხარ. არც კი მიკვირს, რომ შენი ცოლი ჩემს ქმარს ეარშიყება.

პარმენ:—არც მე მიკვირს, რომ შენი ქმარი, შენი შემხედვარე, ჩემს ცოლს ეარშიყება.

მაგდა:—აბა რა გაბრაზებს?!

პარმენ:—შენ რა გაბრაზებს? მე მგონია, ჩვენ ორივე ერთ ყოფაში ვართ და ერთმანეთს არ უნდა დავსცილოდეთ.

მაგდა:—რა ვიცი რა! კი მომადეჭი და არაფერი სიაცე არ მომაკელი, გამლანძღე და შეურაცხმევე.

პარმენ:—რაღა გეკადრება, მაგდა! ეს ისე, ლაპარაკში იყო ხუმრობით, თორემ შენ რაღა გკადრებდი (ღიმილით უახლოვდება).

მაგდა (ესეც ღიმილით): —მართალია, ცხელ გულზე ადამიანი ტყუილ-უბრალოდ აწყენინებს მეგობარს.

პარმენ:—აი, ჩვენისთანა პატიოსან კაცსა და ქალს შეუძლიათ ერთად ცხოვრება სიყვარულით და მშვიდობიანად.

მაგდა (მხიარულად):—და ოჯახის შექმნაც.

პარმენ:—ჰო, ოჯახის შექმნაც... მყუდრო ცხოვრება... არავინ არ შეგეცილება ცოლზე...

მაგდა:—არც ქმარზე...

პარმენ:—ერთმანეთის საკუთრება ვიქნებით..


მაგდა (მგრძნობიარეთ):—პააარმენ!

პარმენ:—მააააგდა! (ერთმანეთს ეხვევიან).

მაგდა:—„ფერი ფერსა...“

პარმენ:—მადლი ღმერთსა.. (ერთმანეთს კოცნიან).

ისელი.



— შე უსინდისო შენა! შენ რა კაცი ხარ? ჯამაგირი შიილე და ორი კვარტი ღვინო არ ჩამოხდგი!

შემისრულდა წადილი—იაფია სადილი

„სადილი ორი კერძით“—80 კაბ. წაფიკითხე ერთ სასადილოს კარებზე და დაფიკრებულად შევედი შიგ.

„მოვაწესრიგეთ სახალხო კვება“.
„სახალხო კვებით სოციალიზმისაკენ“ ეწერა პლაკატზე.

—„სახალხო კვებით სოციალიზმისაკენ“ მართლაც კარგი ლოზუნგია—გსთქვით ჩემთვის. ესე იგი შეხვალ იქ, გამოძღვები მაგრად, და შემდეგ თამამად შეგიძლია გაუღდე გზას სოციალიზმისაკენ.

ზოგიერთა ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგები აქამდე ვერ მიმხვდარან, რომ სოციალიზმისაკენ გზა სწორედ სახალხო კვებიდან იწყება. თუმცა არც მარქსის, არც ლენინის და არც სხვა ბელადების გადმოსროლილ ლოზუნგში არ შემხვედრია ასეთა ლოზუნგი „კვებით სოციალიზმისაკენ“, მაგრამ მაინც ვერწმუნე ამ ლოზუნგის შინაარს.

შევედი და ერთ მაგიდას მივუჯექი. გაზეთი ამოვიღე. რამდენიმე წერილი წაფიკითხე, შემდეგ პაპიროსი შავაბოლი და ბოლოს კი გავიხედ-გამოვიხედე.

მოსადილენი ბევრი ისხდნენ. ზოგი სკამდა, ზოგი სვამდა, მაგრამ უფრო მეტი კი რაც ძალა და ღონე ჭონდათ აბრახუნებდა ხან ხელს და ხან ფეხს.

ჯერ გამიკვირდა მათი საქციელი, მაგრამ როცა არავენი მომაკითხა, მეც მოვრთე, ჯერ კაკუნი, მაგრამ როცა ამანაც არ გასჭრა და მუშტებიც მომელალა თავი ჩავლუნე.

შიმშილი თავდასხმას თანდათან აძლიერებდა. საქმელების სურნი უხვად რწყავდენ ჩემს ფილტვების უჯრედებს. სისუსტე თანდათან მემატებოდა, და არ ვიცი რა დამემართებოდა, რომ რევოლვერის ხმა არ შემომსმოდა. ხალხი ერთ მაგიდასთან შეჯგუფდა. სასადილოს გამე ფარფაშით მივარდა მაგიდასთან და მსროლელის ვინაობის გაგება მოინდომა.

— თქვენ რა გნებავთ, რომ სტოლს სტებთ აქ,—შეეკითხა მაგიდასთან დინჯათ მდგომ ჩერკესკიან მოქალაქეს, რომელმაც ის იყო რევოლვერის ჯიბეში იღებდა.

— ერთი შიი მომიტანეთ.—დინ-


ჯათ ოპასოხა ჩერკესკიანმა, გამეგმ თავი გადააქნია—გადმოაქნია, მაგრამ შიი საჩქაროდ მიურბენია.

— არა, ეს ხალხი სწორედ ერთა ლიგის წევრები არიან, ასე რომ ყვარებით ამ იარაღის ხმა, თორემ მე რად დამაკაჯი ერთი სადილი რომ არ მაღირსე—გსთქვი და კიდევ ავტებებრასტინი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ერთმა ყმაწვილმა ჩვენება ჩამომართვა, რას მივირთმევი და წავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ შიი მომიტანეს და ხუთი წუთის შემდეგ პური. როცა პირველი გავათავე, დანა მომართვეს, ხოლო ჩანგალი იქვე მახლობლად მოსადილესაგან ვინათხოვრე (სამაგიერთ დანა ვათხოვე მას). როცა სადილი გავათავე და ის იყო ვლგებოლი, მარილი და წიწაკა მომართვეს.

—„სახალხო კვებით სოციალიზმისაკენ“.

„მოვაწესრიგეთ კვების საქმე“.
თითქოს დამცინისო, ისე გამოიციტებოდნენ ასოები წითელ ლენტებზე.
პ. ოზოლი.



— ანგე თითოლოკან ივანე იგეთი აქია ჩამბიღლო რა გული შამიქნა და ქალაქ წას-
გლა მამანდომა. ავდექ და ამ ჩვენ კოლექ-
ტია საპირით კრებანდელა იმოდოლა ვიყა-
ტყატე, იმოდოლა ვინაღინე, რა ბოლო სა-
ციოთი დავაყებე:

— ამხანაგებო და ჯამათო, ამ ჩვენ შა-
კრედილობანდე და დადაწყითეთ, რა ერთი ვა
ცი ქალაქ გავგზანოთ მეთქი!

— ქალაქ რიპთენანო?

— რიპთენა და იმიპთენა მეთქი, რა ამ
ჩვენ რადიონა პროლეტი მართლები ვამ-
დექებია და იმი ვამეტებელი ოიტები მია-
ქვანო მეთქი; იმითანაცა ჩვენ რა ელექ-
ტრონი ტანცია მოვაწყეთ და ე ორლობი
ქვიპტრებივით გავადადადეტო, სახლებში
კი გვაწყენს იმი შუქი? ჰო და იმიპთენაცა
გეგმა უნდა შევადგენოთ ი ჩვენ შეფსა!
მაგია გარდა, ანგე ჩვენი კლუბიპთენა ერთ-
თი ლახათიანი ფარა და დეკანაციებია სა-
ქირო მეთქი; ეგეც რა არ იყოი, ე სკოლია
რა ვადიდებო, მაიწავლებლები . არ უნდა
დავანიშნოთ მეთქი? ჩემი წინადადეგა
ყველაი ჭკვამი დაუჯდა და დამიდატეტი—
კარგათო.

— ვინ გავგზანოთ ქალაქსაო?
კენკი უყარეი და მე შამხედ!

მამიცი მანდატი, ჩაეაწყე სურჯოიიი საჯ-
შალი, დეადექ ა ფოიტი გზასა და დოიპ-
ტორიე გავწეი ო ტანციისაყენა. წინორში
სურჯინი ბადაჯათ მივე, მე კი ჩავდექ შოვე-
დშია და წაველ.

საიქ დამამებული იყო, რაცა ქალაქ ჩავე-
დით. პაი დაწყებულა გამჩენში ო უბატრონო
რამოტოლაი ო ქალაქი კაცო! ერთი რა არ
გაიხედამ? იგეთი გალაპალაბებულაი გეგონე-
ბა ევლოგიაო—მაშა?! გეგე აღმა—დაღმა რა
გაპხედო იმისგეთა რა ანგე ჭოტორა—იმაი
იქით თვალცი ვერ გაუწევს. ახლა ჭუჩები
რამოტოლოტოლებია და! იგეთი დაკრიალე-
ბულაი იტყვი წირვი სუფრაა გაშლილიო—
დამდნარი ვერო რა დავედვარაი აპკრეფ-
მიედნები იგრეა გასიფლი, რომ რწყილი
ფეხ ვერ მაიციდებს მაშა!

რა მილეთის ხალხი ვინდა რა იქ არ და-
დიოდები: რა უყურო, თვლი გავიპტრედ-
ბა: ახლა ქალებს არ იტყვი? (ჩაიციენებს) იმა-
თი ყურებითა იგეთ ღღეში ჩაივარდები რა
თვალეები უნდა დაჰმალო თორე სორიი შე-
გეჯავრება. იგრე მოუშვლებითა ო ტანსი-
მოსი რა წინ მარტი უჩანთ—უკან აპრილი.
ყამები მარტო ჩვენებურ დედაკაცებს რა
თითო თოფი ჩითი უნდებათ თითო კაბათვი-
ნა, ო ქალაქელ ქალებსა თითო მეტროი თაჰს
სდით მაშა!

ერთ ქალ შეგებდე და ვკითხე:
— ნათიიდედ, ეგრე რამ მოგატიტვლოთ
მეთქი?

— მოდაო, ახალი ყოფა-ცხოვრებაო.

— შე კურთხეუბიშვილო ეგ რა ყოფა-
ცხოვრებაა ტლოკები გარეთ გიყრია მეთქი?
—ახალი ყოფა-ცხოვრებაი სოფელშია მეთ-
ქი: ხალხიპ დაწინაურებაში, სკოლებიპ გახ-
ნაში, კოლექტია მოწყობაში, რადიონები
დადგმაში, საყდრები კაბებებით გადაკეთება-
ში, ელექტრობის სახლში ელექტრონები გა-
მოყენაშია მეთქი, აი აგეთია ჩვენში ახალი
ყოფა-ცხოვრება მეთი მაშა! გაჯავრდა. კრუ-
ხივით ვაცხარდა. იგეთი შავარი რუსული მთ-
თხრა, რა ყურებმა სუ ლაწა-ლუწი დამიწყო
მაშა!..


ვიფიქრე, ემქ სათაბლაი არ გადავვიდო
მეთქი; მიველ ო კონკი ვასაჩერებელთანა და
უცი. როგორც იყო მოვიდა ო კონკი ვაგო-
ნი, მოვიდა მაგრამ ო ქითაბქალი შეკონკი
როდი აჩერებდა ვეგონსა, შიგნიდან ხალხა

სუ პანტა-პურტით გავმოყარა და გავრდა
კიდე არაეინ შაუშევა—ჩემბა ნიატოო—და
აწყირალა ხარი და პერი მერორემაც აგრე
ქნა, მესამემაც. მკიდა ე სურჯინი და მხრე-
შში ვიწნიქები.

ბოლოი მოვიდა კონკი ვაგონი და ერთი-
ბეწვით რა გაჩერდა, აეაბტი ამ ჩემი სურ-
ჯინითა და დავდექ. ცოტა ხნი მასკვან ერთი
გასსოტილი ვილია დაამადა, ჯერ ბილე-
თი შამყიდა და მემრე მითხრა შენზე პტრა-
ფია და გადაიხადეო.

— რი პტრაფი, რა პტრაფი მეთქი? იმი-
სოი რამოა ვაელოლ კონკაზე ამიხბოო. იმ-
ტოლი მელოპარაჰა, რა დემემქტრა და ტრა-
ფი გადაამხადეო.

გავჯავრებულეი ჩამოველ იგრევა და ფეხით
მივდივარ—გლენი სახლში მქონდა ადრეს-
ტი და იქითეინ კითხულ-კითხულით ჭუნაზე



უწყლობის ნამდვილი მიზეზი

გადველ. გადაველ მაგრამ ვი იმითანა გა-
დასვლას: ერთი ხუთი მილიციონი შამეარდა
ცხრა დორიიე და ყველაი სუსტუტების
სტენა დაიწყეა—ჩამაველი ხელი და მუხუ-
ნებან ვკან დამრუნდი ჩქარაო...

იგეთი გავჯავარი რა პა,
— თქვე ჩემხალბებო, ე რა ვნაასო დამა-
წეით, ბოპტნიპ ჭურდი ხო არა ვარ რაი შა-
მამეხევიენით მეთქი?

— იმიპთენაო, რამოა, ანგე იმ ტოლბი-
თენა მარცხენა მხარეი უნდა შემოქრანა და
შენკი მარჯვენა მხარეი შამოუარეო. შაგი-
თენი ტრაფი გადავხედმა თუ უყარეი არ წა-
ხვალ და იმ ტოლბაი მარცხნიდამ არ შამოუ-
ვლოო. გამიკვირდა. ე ვერანი ტოლბაი სეე-
ტი-ცხოველი ხო არ არი რამა შინევი შამ-
დოი და დამაკტოი მეთქი. არა ქნეი, უკანვე
გამბარუნეი და იმ ტოლბითენ მარცხნიდამ
შამამატარეო.

ამ დროი ერთმა შთავრობი კაცმა გავაია-
რა. ანგევი-გუტუნა-მამინა რაო, აეტომო-
ბილ რა ემახიან, იმაში იჯდა. გამამკითხა
და ყველაფერი რა გაიგო, ჩამისვა ო გულუ-
ნაშია და მიმიყენა გლენი სახლში. ღზნა
თქვენ მოგეცათ კარგი ყოფილა ო გლენი სა-
ხლი. იგრე მიმდეი, იგრე, როგორც კი
პტუარეი. იქაურობა იგეთი დამსინილებუ-
ლია, როგორც სარკეი—მალა იხედამ—
ელექტრონები ლუღლუღებს, დაბლა დახე-
დამ პოლში შენი სახე ჩანს, კედლები მორ-
თულია, საწოლება იგეთი, როგორც ბაში
ქულა, აქეთ რადიონი ლაპარაკებს, იქით
წიგნები და გაზეთებია. ანგე იქით კიდე
კლუბი. რაც კაცმა ინატროი და ირუნდუ-
ნოი—ყველაფერი აქ არი.

— მოგწონსო?—გამეგ მეკითხება,
— შამწონს და ენგრე მეთქი?

ჰო და ეს სუ გლენებოპთენ არიო. ჩვეი
მთავრობაი იმასა ფიქრობო, რამოა ყველა
გლენისა და მუშის ოჯახი ანგრე მააწყო-
სო. ეხლა დაისვენეო და ხვალე დილითა ყვე-
ლაფერი გავიკეთებო რაც კი საჭირო და სა-
სარგებლოა სოფლიპთენათ, ხალხიპთენა
და ახალი ყოფა-ცხოვრებითენათ.

შ. თარსი.

გმადლებ „ტარტაროზი“-ს სპე-
ციალური ნომრები
რკინის-გზის, კოთკარატიული
და საზავსულო
თანამშრომლებს მთხოვთ მასალები
დროზე მოგვაწოდონ



— ამხანაგებო, არც ისეა საქმე, როგორც აქ კამათში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, — დაიწყო ჩანგვლების შედეგ თავისი საპასუხო სიტყვა ადგილკომის თავმჯდომარემ.

— მაშ დაგვისახელეთ თქვენი „მიღწევები“, როდემდე დარგში; მაგ. რა გააკეთა ადგილკომმა მუშებისათვის სპეცტანსაცმელის დარიგების საკითხში? — წამოიძახა ერთმა.

— ამხანაგებო, ჩვენ ე. ი. ადგილკომმა მოვსთხოვეთ ადმინისტრაციას — ზამთარში მუშებისათვის შეეძინათ სპეცტანსაცმელი, მაგრამ ზამთარი დავაში გავიდა, ზაფხული დადგა და ეს საკითხი თავისთავად მოიხსნა.

— რა გააკეთა ადგილკომმა სანიტარიის დარგში? — იკითხა მეორემ.

— ამხანაგებო, ამ დარგში ჩვენ საკმაოდ დიდი მიღწევები გვაქვს: აქა-იქ კუთხეში დადგით ჩასაფურთხებელი ყუთები, მაგრამ რად გინდათ, შიგ არავენ არ აფურთხებს; ჯერ-ჯერობით ვერ შეეჩვიენ, რადგან ჯერ კიდევ ახალი ხილია კულტურული რევოლუცია. გარდა ამისა შეძენილია ხელსაბანი. (საბონს და ხელსაბონს ამ დღეებში შევიძენთ). დადგმულია მოხარშულ წყლისათვის სპეციალური ბაკი (ტაში), რომელშიაც მოუხარშავი წყალია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კარგია.

გამგის თაოსნობით ნაყილია ელექტრო — „სამოვარი“ (ტაში). ქიქების შეძენა განზრახულია მომავალ საბიუჯეტო წელში. ასე, რომ თუ პოლონეთმა ომი არ დაიწყო, ჩაისათვის ქიქები და ლამბაქები შეძენილი იქნება.

— ჯანმრთელობის დაცვა როგორ გაქვთ დაყენებული?

— ყველაზე მეტი ნამუშევარი და გაკეთებული სწორედ ამაში გვაქვს. ჩვენმა საქმისმწარმოებელმა შეიძინა კბილის ჩოთქი და ფხვნილი და ყოველდღე ირეცხავს პირს, რასაც, ალბად, თქვენც შეამჩნევდით. მოანგარიშემ, რომელსაც წინა კბილები აკლდა და ამის გამო მისი ლაპრაკი მის გარდა არავის ესმოდა, ოქროს კბილები ჩაისვა. ამხანაგებო, ოქროს კბილები არ ნიშნავს ბურჟუაზიულ გადახრას, არამედ ეს არის წმინდა კულტურული მოვლენა. წარმოიდგინეთ თქვენ, ოქროს კბილები. თურმე, ზღაპრულ ამირანსაც ჰქონებია! (იხილეთ პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, წგნი პირველი, გვედი 140 გამოცემა 1928 წ.).

— ჰქონდა თუ არა ადგილკომს კონფლიქტი ადმინისტრაციასთან მუშა - მოსამსახურეების ინტერესების დასაცავად?

— არავითარი კონფლიქტი არ გვქონებია. ანდა ოპორტომ უნდა გვქონებოდა კონფლიქტი, როცა სიტყვის შეუბრუნებლად ვღებულობდით ადმინისტრაციის შეხედულებას საკომფლექტო საკითხზე.

— რა გააკეთეთ ანტირელიგიურ მუშაობაში?

— აქაც გვაქვს მიღწეობი. საქმეთა-მმართველმა და



- თქვენ სად მსახურობთ, როზა ივანოვნა?
- არსად.
- მაშ როგორ ცხოვრობთ?
- ახვებ ვაწყობ სამსახურში.

მთავარმა ბუჰხალტერმა, დადგა თუ არა ზაფხული, გადაიპარეს თმა და წვერულვაში. მათ ქალებმაც მიჰბადეს და თმები გაიკრიჭეს.

— როგორი იყო ქალთა შორის მუშაობა?
— ძალზე ნაყოფიერი. მარტო გაზაფხულზე სააღდგომოდ ჩვენს დაწესებულებაში დაქორწინდა ოთხი წყვილი ქალ-ვაჟი. თითქმის ამდენივე ახლო დროის პერსპექტივაში არის.

ამგვარად, ამხანაგებო, თქვენი ასეთი სატიკი საყვედური ადგილკომის მიმართ ვითომცდა ცუდი მუშაობის გამო, ყოველად უსაფუძვლოა. წინადადება შემომაცხადეს ადგილკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს და დარჩეს ადგილკომის ძველი შემადგენლობა.

„ბრავა“ სიძე „ბლუდიანო!“



კვარტალი
საბჭოთაო

სოფ. ლაშქარ-ლეიკაში ამას წინად და-
ქორწინდა ვალიკო კალანდაძე, რო-
მელიც თავს კომუნისტად ასაღებს.

ვალიკოს ქორწილში ქეიფის დროს
ჩამოატარეს „ბლუდი“ და ძველი
ჩვეულებისამებრ შეკრიბეს შესაწირი
ანუ „თავგადასაღებები“. ვალიკომ
ამით ქორწილის ხარჯებიც გაასწო-
რა და ფულიც მოიგო.

ტარკორ კ-ს წერილიდან.

დაქორწინდა
ვალიკო და
მეზობლები მოიწვია,
გარეშენიც
ბევრა იყვენ,
შემოსძახეს „ტია-ტია“
ზედ მაყრულიც
მოაქოლეს,
დასცხეს „მრავალ-ჟამიერი“,
„მათი ბოხის
მაღალ ბანით“,
ზანზარებდა კედელ-ქერი.

გახალისდა
თვით ვალიკო,—
კალანდაძე,—
ჩვენი ვმირი,
და დიდ „ბლუდით“
სტუმრებისგან
მოითხოვა შესაწირი.
სიტყვა:
შეგვწირეთ, ვინც მოსულხართ
მოყვრულად და შესაწირით!
სტუმრებს სახე აეწითლათ
(სირცხვილით და
არა ღვინით),
მაგრამ მაინც
რალას იქდენ?—
„გადააგდეს თავზე“ სიძეს
სამკაული,
რაც ხელ მოყვათ;

სხვებმა კიდეც
ფული მისცეს;
ზოგიც
ასე ბოდიშობდა:
— მაპატიე,
ვალიკო,
მე „პორტმანში“ სახლი დახოია“
ფული არ მაქვს, რა გიყოფა?“
„ბრავა“ სიძე — ზლუდიანო“
ანგარიშიც
გაასწორა,
და მოგვაც
კიდეც დარჩა,
არ მიიღოთ თქვენ ეს კორათ...
ტარტაროზო, უთხარ სიძეს
— დღეს სხვა დროა! —
„ბლუდებს“ ეშვია! —
თუ არ ეშვას, ტარტაროზო,
ამოკარი შენი ეშვია.
კოლბი.

ვახუშტი გოთხრობები

სტრატეგია

სამხედრო საქმეში სტრატეგია მთა-
ვარია.

კარგი სტრატეგი იშვიათად და-
მარცხდება, და თუ დამარცხდა, თავს
შაინც გადაიჩინებს და მტერს საე-
სებით ხელში არ ჩაუვარდება.

ეს წინასიტყვაობა საჭირო არის
როცა ლაპარაკია ჩოხატაურის მე-
ჩეჭმეთა გამგე ოფიცერი ლედიკოზე.

— სად ოფიცერი და სად მეჩეჭმე-
თა კოლექტივი?! — გაკვირვებით
თვითხავთ თქვენ.

ღიან საკვირველია, მაგრამ კარ-
გად თუ დააყურებთ მის ღიღინს:

ჩემთვის არის კოლექტივი

საცურავი ფულის ტივი.

ხელში მომეც ღვინით თასი...

ფული ჩავდე შიგ ათასი,
დარწმუნდებით, რომ ის კარგი კო-
მერსანტი... უკაცრავად სპეკულიან-
ტიც ყოფილა.

და მართლაც ჰპართებს დატრამა-
ხება:

მე კაცი ვარ ოფიცერი,
ალჩუზე სდგას ჩემი ცერი.

— თუ ამ წერილის შემდეგ არ
ბყირავდა ალჩუზე მდგარი თქვენი
ცერი! — დაუმატებდა ტარტაროზი.

„სტაჟის ლოჯუნგი“

— ყოველ საბჭოთა მოქალაქის,
მით უმეტეს კომუნისტის ვალია თა-
ვისი წვლილი შეიტანოს ღღევან-
დელ სოციალისტურ შვენებლობა-
ში! — ხშირად იტყოდა ხოლმე მარტ-
ვილის ებოს მესვეური ვალისტრატე
(შემოკლებით, ანუ მოფირებითი სა-
ხელით — კალე).

როცა კალე წელში გაიმართა და
კოოპერატივის ფულით „ხელი
მოითბო“, სახლ-კარი ააშენა, დარ-
წმუნდა:

— კი ყოფილა მართალი რომ ამ-
ბობენ: „კოოპერაცია გზაა სოცია-
ლიზმისკენ“ — მარტულა ასე მალე
შემიყვანა ჩვენმა ებომ სოციალიზმ-
ში... ჩემთვის უკვე დამყარდა სო-
ციალიზმი! — და განაგრძობდა მო-
ვაწეობას კალე; სულ რაღაც 2.000
მანეთამადა აკლდა, როცა მისი საკუ-
თარი აღმშენებლობის ჩქარი ტემპი
რევიზიამ შეაჩერა.

როცა კალე გამსახლისაკენ მიჰ-
ყავდათ, ფიქრობდა:

— სტყუის ლოჯუნგი! სტყუიან
ბოლშევიკები, როცა ამბობენ: კოო-
პერაცია გზაა სოციალიზმისაკენ...
ჩემთვის კოოპერაცია გზა დარჩა
გამსახლისაკენ.

„კომპრომისი“

ბატონ-ყმობის დროს არსებობდა
„პირველი ღამის“ კანონი.

ეს ამბავი დიდი ხანია ჩაბარდა
ისტორიას.

დღეს ჩვენი ბატონობის ნატამა-
ლიც აღარ არის, მაგრამ არიან ისე
თებიც, რომლებსაც ხალხის გამარ-
ჯვება სხვაგვარად ესმის.

სუფსაში დიომიდე „დიდი კაცია“.
კოლექტივიზაციის გატარება მასზეა
დამყარებული.

კულაკი ჯაში კოლექტივიზაციამ
ძალზე შეაეწროვა.

დიომიდეს დაუდგა „კარგი დარი“.
— ეხლა ჩვენ ვართ მუშა ხალხი

ბატონი. თუ უწინ ბატონები ცუ-
დად ეპყრობოდნენ გლეხებს, ეხლა
სამაგიერო უნდა გადაუხადოთ ჩვენს
კლასიურ მტერს! — ფიქრობდა დიო-
მიდე და ჯაშის ცოლზე თვალი ექი-
რა.

როცა ცივი წყალი გადაესხა მის
გახურებულ გულს, დიომიდე კომ-
პრომისზე წავიდა და ქალს ასეთი
ლექსი მისწერა:

არ ვთხოვ, ქალო, დიდ რამესა.

მე ავლდე მასზე ხელი.

შენს ქმარს მამულს დაფუბრუ-
ნებ,

ოღონდ მიძღვენ კოცნა ცხელი
ხედავთ ახალ დროის თავადს, რო-
მელიც ერთ კოცნაში მამულს იძლე-
ვა საჩუქრად?!

პირიქით

ცნობილია, რომ „კარგი“ მომ-
ხსენებელი იმდენს ილაპარაკებს, სა-
ნამ დარბაზი არ დაიძინებს. ასე იყო
დღემდე, ასე ხდებოდა ყველგან.

მაგრამ სულ სხვა ამბავი დატ-
რიალდა ამას წინედ სოფ. ქოკნარ-
ში (ქუთ. ოლქი) მცხოვრებთა საერ-
თო კრებაზე, რომელზედაც კოლექ-
ტივიზაციის მოხსენებით გამოვიდა
ილო წულუკიძე.

როცა შუა მოხსენებას მიაღწია
მომხსენებელმა, მას ტრიბუნაზე
ჩამოეძინა, ხოლო დარბაზი გაკვირ-
ვებით უტყერდა ამ სანახაობას.

— ეგებ გული წაუვიდა! წყალი! —
იყვირა ვილაცამ.

— დამშვიდდით! არაფერია. კა-
ცი მთვრალია და დაეძინა! — დაშ-
შვიდა ხალხი მომხსენებელის თან-
მსლებმა.
ნი-ლი.



— რა ამბავია აქ, რომ ყოველ მოსადილეს თითო ძალი მისჩერებია სუფრაზე?
 სასადილოს გამგე:—ყარაულებად არიან, კერძს უცავენ მოსადილეს, რომ სხვა ძაღლმა არ მოსტაცოს.

დ ე კ ე შ ე ბ ი

გვამის კოვხა

პიათურა. გუშინ ერთ კილო პურში აღმოაჩინეს დამხრჩვალნი ტარაკანის გვამი, რომელიც გადააგზავნეს მუშკოვას ფურნის პროზექტურაში.

ენკენისთვემდე

იპილანავი. სწავლის შეწყვეტის შემდეგ დაკეტა წიგნის მაღაზია და გაიღება სამოსწავლო წლის დასაწყისში, ე. ი. ენკენისთვეში. გამგე უკვე შეუდგა ძილსა და სეირნობას.

ნივიგო.

ლალიძის ნადირობა

ხონი. ნადირობის საზამთრო სეზონის დასრულების შემდეგ მიშა ლალიძემ ნადირობა დაიწყო მუშკორებზე და მსუბუქ კავალერისტებზე. გორდში და ცხენკურში მიზანში ამოღებული ჰყავს სამი მუშკორი: ჩიქვანი, სულამბერაძე და საკაურაძე.

მოლი.

უცაბედი მარცხი

გოგოლმისუბანი (გურია) მოულოდნელად გალაქტიონს გადასცდა ყელში სოფლის ფული, რამაც მუცელზე წამოხერა. ცენტრიდან გამოძახებულია მუშკოვანი, რომელიც, ალბად, მშვიდობიანად მოაწვდის ნებს.

აქაური.

სილოვანის მუშხარება

საჯავახო. სასადილოს ყოფილი გამგე სილოვანი ყოველ დღე მოსთქვამს, რომ ორასი მანეთის გაფლანგვის მეტი ვერ მოასწრო რევიზიამდე. ამის გამო ის სასტიკ საყვედურს გამოსთქვამს რევიზიის მიმართ, რომელიც გაუფრთხილებლად ესტუმრა მას.

ჯიხომბ.

კოვხა

მარმლისი. ნაპოვანია ყალბი მოწმობა მოცემული ექიმ როზოვის მიერ სონა მალრაძის სახელზე, თითქოს ეს უკანასკნელი ავადმყოფობის გამო უნდა განთავისუფლდეს სამუშაოდან. პატრონს შეუქოლიან მოიკითხოს ადგილობრივი ფაბრიკაში.

„შ. კავ.“

გამფლანგველის დაკარგვა

ტფილისი, (ახალი აბრეშუმის საქოვი ქარხანა) ადგილობრივ კატეზზე მონადირე ფაბკომის მდივანი ანდრო გურგენიძე უგზო-უკვლოდ დაიკარგა მსუბუქი კავალერიის გამოჩენის მეორე დღესვე. მკვლელს ვთხოვთ გადააგვიჩინოს სისხლის სამართლის მილიციაში.

სე—ტი.

დაუგვება

სოფ. ხუნჯულოური (კულაშის თემი). კოლექტივში შეძრომის ცდის დროს კულაკ გრიგოლს ასეთი მაგარი პანდური ამოჰკრეს, რომ დღე საც დაავადებულია ის და წამლობს: ცხრათვლა.

თავდასხმა

საჯავახო. წითელ სასადილოს ბატონ-პატრონი სანდრო თავს დაესხა სამზარეულოდან გამოტანილ ხარხოს კერძს, რომელშიაც აღმოაჩინა ხორცის ხუთი ნაჭერი. სამ მათგანს რეკვიზიცია უყო და ეკრეჟიმის მოსაზრებით უკან გააბრუნა ქვაბში.

ტა—შა.


ტრისტნი

ოჭურბათი. გაკორებულმა ვაჭრებმა შეიძინეს ველოსიპედები და დაარსეს გამჭირავებელი ტრესტი. „სულიცინის.“

გამფლანგი დღე

წმინტაფონი. დღეს სამსახურში თავის დროზე და დაუმთვრალი გამოცხადდა აღმშენებელთა კავშირის ხელმძღვანელი ბურაკოვი; არც არავისათვის შეუგინებია, არც არავინ გაულანძღავს.

ძირ-თაღა.



— ვა, ეხლაც აღარ უცვლი ფეხს? ეხლა ხომ მუშაობისა ხარ, და არა—კერძო!

კვარტისტი (ს. ახალდაბა)

ახალდაბელ გმირს გაგაცნობთ—
საშა ქურდაძესა,
რომ იბარებს გლეხებისგან
ჩამოწილულ ხესა,
იშვითად ნახავთ ფხიზელს.—
დადის მუდამ მთვრალი.
დაფარფატობს, აგინება
ამღვრეული თვალით,
სამუშაოს ხშირად აცდენს,
დასეირნობს იგი.
გააფრთხილებ, — გიბასუხებთ:
„ახ ტი ღურაკ, იდი!!“
ბევრჯერ იყო გაზეთებში
გაქიმილი საშა,—
მაგრამ წარბიც არ შეხრია...
ვაშა, ბაჟო, ვაშა.

ტარკორი.

„გაქცა ცი“ სტალინისი

იოსება ჩიტიშვილსა
სტალინისში არ ყავს ტოლი,
დღე არ გავა სამჯერ მაინც,
რომ არ სცემოს თავის ცოლი.
ეუბნება: „ფიზკულტურა“,
მედიცინის არის დარგი,
თუ ცხვირიდან სისხლი წაგსკდეს,
საღებავთ არის კარგი
ხოზბეროვის ექიმამაშ ქალს
შენ მოჩიენას მე არ ვაცლი,
იმდენსა ვსცემ, სანამდისინ
სისხლთხაგან სულ არ დაესცილი,
მხოლოდ დარჩეს საიღუმლოთ.
ჩვენში ვინ ვის მოერევა,
მილიცია ჩვენ საქმეში
დღეიდან ნუ ჩაერევა.

შახ.

სახ. კონსერვატორიაში

რომელმან შექმნა „სახკონსერვ“ შენობით მით ძლიერთა,
შიდ როიალი გამართა დამკვრელით, მოსიძღვრითა,
შიგ მოწაფენა სწავლობენ მუსიკას მრავალ ფერითა,
შიდღე დაარსდა წრეები მოწაფეთ გულის ძვრითა.
უფხუშრთილთა წრე.
ფეხბურთობა პირველადვე ჯანმრთელობის არის მარგი,
ვისაც რომ ეს ასე ეწიას, იგი ააცი არის ვარგი.
მაგრამ ჩვენ წრეს როგორ ვსმას? მისთვის არის მეტი ბარგი.
რა ეუყოთ, რომ ბურთი ქე გვაქვს, შენახვაა მისთვის კარგი.
უღმერთოთა წრე.
ეს წრე დაარსდა ეხლახან წევრების წერილებითა,
ლექტორმაც გვითხრა:—ხვალისთვის ლექციას დაესწრებითა,
მეორე-დღესა მოვიდა ჭკუითა, დალაგებითა,
მაგრამ არ შესდგა ლექცია წევრების არ დასწრებითა.

მსროლელთა წრე.

თოფის სროლაც პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი
ვინც რომ ფაშისტს მოახვედრებს, მსროლელაა იგი კარგი.
მაგრამ „გეკო“ კაჯელაშვილს გაუხდია, როგორც ბარგი;
სროლის გემო არ გვინახავს, ავი არის ან თუ კარგი.

კაღლის გაზეთი „მხო“

აქ გამოდის კაღაზეთი, სახელია მისი „მხო“.
მალწვევებზე მიუთითებს და ნაკლსაცა კი შეეხო.
სიმართლე მსურს მოვახსენოთ, არ ტყუილა დაგაკვებო,
ნაკლი სრულად მოავარეს! თავს დაესხი ისემც მეხო. დ. ვე-რა-ნა.

სალამი, ჩემო სულის ელნათურო.
შენი თვალები შავია, როგორც მზუთი,
მისგან ილღრება მზერ-ელდენი და აესებს
ჩემს გულს — დინამოს.

გწამდეს — შენზე ამოდის ზაპენი და
რაიონვესი.

ნუ დატოვებ ჩემს მოწოდებას უყურად-
ღებოთ, როგორც ადმინისტრაცია საწარ-
მოო თათბირის დადგენილებას. ნუ მომანი-
ჭებ მუშა გამოგონებელის ბედს, რომლის
გამოგონება მათდის ქვეშ ობდება და
ლტება.

ნუ მომცემ ხვედრს წამებულ მუშაკორისას
რომელსაც ზოგჯერ ის აწუხებს, რომ მის
მხილებას ყურადღებას არ აქცევენ, ხოლო
ზოგჯერ კი ზედმეტი „უყურადღება“, რამაც
შრომის ბირთვის კარებთან დგომა იცის.

ჩემო მამოძრავებელი ენერგია, მიყვარ-
ხარ, როგორც ფოლადს ცეცხლი, ურის
გრადემლი.

ჩემი მკერდი გრადემლია და მზერა შენი
სცემს მას, როგორც ურო. რაც შენ ვნახე,
მას შემდეგ მოსვენება არა აქცევენ, ხოლო
განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასულ
ქარხანას.

შენ გაჩაღე ჩემში პოეტური ცეცხლი და
მე გამოვქვიდე ფოლადის ძარღვიანი ლექსი:

ო, ელნათურო ვვა,
გახდი დამკვრელი ქალი,
ლექსებს დაიწერ ქვევას
მე ვარ ლექსებით მთვრალი.

შენმა სიყვარულმა ჩემს გულში და-
ნათო. ზაპენი. შენ იცი და შენმა ქალობამ, თუ არ
ჩააქრობ სიყვარულის ავიზიზებულ კო-
ცონს. შენ იცი თუ არ გამოშპრი ყორყინ-
ტას შენი ხელით. დასაწუნარი ბიჭი არა
ვარ: თავადიშვილი მე არ ვარ და კულაკი.
პირველი დამკვრელი ვარ და წითელ დაფე-
ლი, მოგიკვდეს ბიჭი, თუ არ ვისახელო თა-
ვა სოც. შეჯობროში. სხვა რა გინდა ქალო,
გიგზავნი წერილს და ველი პასუხს. არ და-
მკლა კაცი. არ მითხრა უარი.

ბახო.





გოღორი

ი. გულსეთელს. თემა კარგია, მაგრამ ლექსი — სუსტი, სანიმუშოდ მოვიყვანოთ ეს ადგილი:
ერთ უმუშევარ კაცუნამ იუკადრისა კაცობა;
დასწყევლა თავისი გაჩენა და მოინდომა ქალობა.
ჩემმა წყუღმა დედ-მამამ კაცად რად გამაჩინაო,
სახეზე წვერი მაწუხებს, თავზე მქოლი თანაო.
ღა როგორც ღამურას, მასაც ასრულებია ნატერა —
ქალად გადაქცეულა.

ქუჩაში ვაინავარდა, აბანოსაკენ ვასწია.
გახარებული ღიმილით ქალებში გამოერია.
ქალებმა ახედ-დახედეს, სთქვეს: — ვინ მოსულა
ეხაო?
გულ-მკერდი ჩვენი ასხია, სახე მიუგავს კაცსაო.
გაშკრეს, გამოშკრეს ბრჭყალები, სისხლი ადინეს
თავსაო.

სახე წამხდარი კაცუნა გამოაძევეს კარსაო.
ჩვენი სურვილია — შემდეგი თქვენი მასალა არ
დაიბეჭდოს ამ გვერდზე. ეს თქვენზეა დამოკიდებული.
ქოსს (ხევი, ოზურგ. მასრა). დალაქ სარდიონზე
გვწერთ: დამისვა პირზე დანა,
თან ნიკაპი ამათალა.
და ამაჰრა ცალი ყურიც,
გადამკიდა ხათაბალა.

ეგ სულერთია; ამ მასალისათვის თუ სარდიონს არა,
ჩვენ მიინც ავაგლეჯდით ერთ ყურს, — და თქვენც კა-
რგად მოგეხსენებათ, რომ აგლეჯას აჭრა სჯობია, ისევე
როგორ ჩათრევას — ჩაყოლა. ნუ თუ სხვა ამბავი უფრო
მნიშვნელოვანი თქვენში არაფერი ხდება?

ბრანშუას (სამტრედია). ყველა ამ ამბების შესახებ
არაერთხელ გვქონდა „ტარტაროზ“-ში დაბეჭდილი, და
თუ ამდენხანს საშველი არ დაადგა მათ გამოსწორებას,
სულერთია, ვერც ეხლა ვუშველით რამეს. სხვა ამბები
მოგვაწოდეთ.

შასკუნჯს (ხონი). გვერდმუნეთ, კიდევ უარესი
უსუფთაობა იქნება, რომ ლორებს აუკრძალოს სანიტ.
კომისიამ ქუჩებში ხეტიალი.

ჰიტს. (ამხ. ლ. ხუბიშვილის სახელობის მექანიკუ-
რი ქარხანა). მთავუხის კინწურაშვილის შესახებ ვკატ-
ყობინებთ, რომ:

იტანჯება ტრფობის ალში,
ხამსახურში დადის ღამით.
(თითქოს აქვს ბევრი საქმე)
და თავს ირთობს იგი ამით:
„გლავბუხი ვარ, თავს ვიმდაბლებ,
აჩეტოვოდს გწერ წერილს, ცირა!
ქალო, შენმა სიყვარულმა
დამტანჯა და დამამცირა.

აი, ხომ ხედავთ, ყოვლად ძლიერ სიყვარულს შეუძ-
ლია ციფრის კაცი, როგორც არის ბუჰხალტერი, პოე-
ტად გარდაქმნას.

3. გუბელს (სამტრედია). არა გვეგონია, რომ და-
რია ასათიანი და ალექსი ტოფაძე ეხლა გამსახლში სიმ-
ღერის ხოშზე იყვნენ და მღეროდნენ“.

გვიყვარდა ლხინი, ქეიფი
და ფულის ხარჯვა ოხრადა, —
მაგრამ ჩაგვწამდა ყოველი, —
რად დაგვიჭირეს, ოხ, რადა?! — და თუ მართ-

ლად მღერიან. სჩანს ალკოგოლის გრადუსები კიდევ აქვთ
თავში.

ს. გუბუნავას (შემოქმედი, გურია) გიდსტუ-
რებთ, რომ პირველ იენისის „ტარტაროზ“-ს ნომერში
მოთავსებული წერილი „გუსეინის“ ფსევდონიმით თქვენ
არ გეკუთვნის.



— დატოვე ნივთები, თორემ გესროლე!
— შესამე სართულიდან ჩამომიტანია, გიჟი ვარ აქ
დავტოვო!

ტატაშას (საჯავახო). წითელ სასადილოზე
გვწერთ:

აგერ გოჭი დევს შემწვარი
აგერ კი — ინდაური.
იქ კი შემწვარს ქათამსა
კატა სჭამს შინაურია. — ნუ გეშინიათ, არ აწ-
ყენს კატას შემწვარი ქათამი.
ხოლო რაც შეეხება იმას, რომ:
მუშტარს უცქმის სანდრო კერძში
თუ შიგ ხორცი რამდენია,
უხარია, როცა თეფშზე
მხოლოდ ძვალი და წვენია, — ეს ალბად იმი-
ტომ, რომ ხორცს თვითონ მიირთმევს.



კორუმპირებული: — ჩვენ აქ როგორ და საიდან მოვხდით თუ? განა ეს კომუნისტის ბინაა?